საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს."

2. 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-4–მე-8 პუნქტების შესაბამისად, ხოლო მისი გადაყენება ხდება ამ რეგლამენტის 33-ე მუხლით დადგენილი წესით. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას, იმ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში (შემდგომში – პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფი)."

3. 62-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრთა სამკაციან ჯგუფს."

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევას კენჭი ეყრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა."

4. 77-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-4–მე-8 პუნქტების შესაბამისად, ხოლო გადაყენება ხდება ამ რეგლამენტის 33-ე მუხლით დადგენილი წესით. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას, იმ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში (შემდგომში – პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფი)."

5. 178-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

6. 243-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქართველოს კანონი „სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ კანონის პროექტი პლენარულ სხდომაზე განიხილება და მიიღება ერთი მოსმენით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 156-ე მუხლით დადგენილი წესით.“

7. 264-ე მუხლის მე-8^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. თუ პარლამენტის წევრი, რომელსაც პლენარულ სხდომაზე ევალება კანონპროექტის წარდგენა (მომხსენებელია ან თანამომხსენებელი), კანონპროექტის წარდგენის დროს არასაპატიო მიზეზით არ იმყოფება პლენარული სხდომის დარბაზში, დაუკავდება ხელფასის 10%. პარლამენტის წევრის მიერ სხდომათა დარბაზში კანონპროექტის წარუდგენლობის ფაქტზე, სხდომის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე, ფორმდება საოქმო ჩანაწერი, რომელსაც მანდატურთუხუცესი 24 საათის განმავლობაში უგზავნის პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ პუნქტის შესაბამისად ხელფასის დასაკავებლად.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე